



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი ავაქიძე დაბრუნდა პოლონეთიდან, სადაც ის 2010 წლის 27-30 ივნისს ჰუმბოლდტელების საერთაშაერთაშორისო სამეცნიერო კონგრესში “მსოფლიო საზღვრებს გარეშე – მეცნიერება საზღვრებს გარეშე” მონაწილეობდა.

სიმპოზიუმის დელაარსი იყო იმის ჩვენება, რომ არათუ მეცნიერება, არამედ მსოფლიოც საზღვრებს გარეშე უნდა არსებობდეს და მაშინ დელამიწაზე ყველაფერი უფრო კარგად იქნება, ვიდრე ეს დღესაა.

სიმპოზიუმის მუშაობაში სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის პრეზიდენტმა, პროფ. ჰელმუტ შვარცმა.

პროფ. ჯონი ავაქიძის მოხსენება “ახალი საერთაშორისო არქეოლოგიური გათხრები ტროაში” კარგად პასუხობდა კონგრესიის სულისკვეთებას და თემატიკის მიხედვით ის პირდაპირ ასახევდა იმას, თუ რა შედეგები მოაქვს ტროაში ინტერნაციონალურ და ინტერდისციპლინარულ კვლევა-ძიებას.

კონგრესის მასალები უკვე გამოქვეყნებულია და ის სრულად ასახვს იმ მოხსენებებს, რომელიც კონგრესზე იქნა წარმოდგენილი. სამეცნიერო ფორუმის პარალელურად კონგრესის მონაწილეებისათვის მოეწყო სხადასხვა სახის კულტურული ღონისძიებებიც.

ჰუმბოლდტის სტიპენდიანტთა მომავალი კონგრესი პოლონეთში 2013 წელს
ჩატარდება.